




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ნოე ქაშიბაძე
27 ოქტომბერი 2016 წელი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის წარმომადგენლობა

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის
ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
წარმომადგენლობა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N60/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	8
აუდიტის მიზანი	12
აუდიტის მასშტაბი	12
აუდიტის საგანი	12
კრიტერიუმები	13
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	15
აუდიტორის პასუხისმგებლობა	15
აუდიტის ანგარიშის ფორმა	16
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა	16
1. საბიუჯეტო სახსრები (სოციალური დახმარებები)	21
2. ძირითადი აქტივები	24
3. შრომის ანაზღაურება	27
4. სახელმწიფო შესყიდვები	27
5. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	29
6. სატრანსპორტო ხარჯები	32
7. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია	37
8. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა	40
აუდიტორთა ხელმოწერები:	42

შემაჯამებელი მიმოხილვა

- დადგენილი წესის მოთხოვნების მიუხედავად (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემ კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა მხოლოდ 6 სხდომა და შესაბამისად გაფორმდა 6 სხდომის ოქმი. 15 შემთხვევაში განცხადებების განხილვა გადაიდო ბენეფიციარების მიერ „ლიბერთი ბანკის“ პირადი ანგარიშის ნომრის წარმოდგენლობის გამო. მოქმედი კანონმდებლობით წარმომადგენლობას განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა შეემოწმებინა განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის სისრულე და რაიმე დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში განესაზღვრა ვადა, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელს უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც წარმომადგენლობის მიერ არ განხორციელებულა (გვ. 21);
- დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის მიერ განხილულ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება არ ხდებოდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით (გვ. 23);
- დადგენილი წესის მოთხოვნების მიუხედავად (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემ კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში 2015 წლის განმავლობაში ივნისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში სხდომა არ ჩატარებულა (გვ. 24);
- 2015 წლის განმავლობაში იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სარგებლობდა ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქ. N25 - ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში არსებული 8,2 კვ/მ ფართით, ღირებულებით 3,000.00 ლარი და ქ. ბათუმში გორგასლის N 141-ში მდებარე სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში არსებული 9,31 კვ/მ ფართით, ღირებულებით 7,215.00 ლარი. აღნიშნული ფართები,

როგორც წინა აუდიტისას, კვლავ არ იყო გატარებული საჯარო რეესტრში და აყვანილი ბალანსზე (გვ. 24);

არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, როგორც წინა აუდიტისას, 87 ერთეულ მცირეფასიან გრძელვადიან აქტივზე, ისევ არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები, ხოლო ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და აყვანილი ბალანსზე (გვ. 25);

- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას 2015 წელს სარგებლობის უფლებით გადმოეცა ქ. რუსთავში ვახუშტის ქ. N8 - ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 24.10 კვ.მ ფართი, რომელიც წარმომადგენლობის საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) არ აღრიცხულა; გარდა აღნიშნულისა, განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა კვლავ სარგებლობდა ქ. თბილისში კ. ხეთაგუროვის N2-ში არსებული (170კვ.მ) ფართით (გვ. 26);

- ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში პრემიების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანებების დასაბუთებებში გამოიყენებოდა ერთი და იგივე შაბლონური ტექსტები ("ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის", ან "დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისთვის, კეთილსინდისიერი სამსახურისთვის"), ხოლო კონკრეტულად თუ რა სამუშაოს შესრულებისთვის იყო გაცემული პრემია ასახული არ ყოფილა. გამოცემული ბრძანების დასაბუთებებში არცერთ შემთხვევაში არ იყო მითითებული გასაცემი პრემიის პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში და ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიის შესახებ (გვ. 27);

- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებიდან, 44 შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით იყო ატვირთული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 9 შემთხვევაში და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 11 შემთხვევაში (გვ. 27);

- სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში 2015 წლის შესყიდვების გეგმა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო დაგვიანებით, ხოლო განხორციელებული 59 სახელმწიფო შესყიდვის

შესრულება/შეუსრულებლობის და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არცერთ შემთხვევაში არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში (გვ. 28);

- 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 27,066.66 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 29);

- 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 101,841.80 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 30);

- 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 51,300.00 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 30);

- 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 42,244.92 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად (გვ. 31);

- ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აუდიტის პერიოდში ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 59,39 კმ. მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო სამსახურეობრივი აუცილებლობით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოსატრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები), რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა (გვ. 32);
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აუდიტის პერიოდში განპირობებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 87,07 კმ., ხოლო სამორიგეო ავტომობილის მიერ საშუალო დღიურმა გარბენმა - 50.88 კმ. მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე, ავტომობილების სამსახურეობრივი მიმოსვლისათვის ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები), რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა (გვ. 33);
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აუდიტის პერიოდში განპირობებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 87,87 კმ., ხოლო სამორიგეო ავტომობილის მიერ საშუალო დღიურმა გარბენმა - 54,55 კმ. მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე, ავტომობილების სამსახურეობრივი მიმოსვლისათვის ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები), რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა (გვ. 34);
- სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში აუდიტის პერიოდში განპირობებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 133,8კმ, სამორიგეო ავტომანქანებზე შესაბამისად -

47.7 კმ და 45.2 კმ, მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო სამსახურეობრივი აუცილებლობით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოტრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები), რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა (გვ. 36);

- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმები, კერძოდ: ავტომანქანების მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯები 3,596.00 ლარის ოდენობით, (რომლითაც ადგილი არ ჰქონია აქტივების არსებით გაუმჯობესებას), ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დამატა მანქანების საბალანსო ღირებულებებს, რის გამოც ავტომანქანების ღირებულება არამართებულად გაიზარდა 3,596.00 ლარით, ხოლო დარიცხული ცვეთის თანხა გაიზარდა 402,75 ლარით (გვ. 37);

- სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმები. კერძოდ: ბალანსის დანართ ფორმა N2-ში პრემიის მუხლში საანგარიშგებო პერიოდის დაზუსტებული გეგმით, ნაცვლად 51,254.07 ლარისა დაფიქსირდა 37,520.00 ლარი, გადახრა ფაქტიურ ხარჯსა და გადახდას შორის არ დაფიქსირებულა, ხოლო „სხვა ხარჯების“ ჯამური მუხლი თანხით - 5,510.00 ლარი არ იყო ჩაშლილი (გვ. 39);

- საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 2%-ით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 71%-ით. გარდა აღნიშნულისა, პრინციპების შესაბამისად მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით, თუმცა წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საწვავზე გახარჯული თანხა პირიქით გაიზარდა 9%-ით (გვ. 40);

- საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდა 30 %-ით. გარდა აღნიშნულისა, პრინციპების შესაბამისად მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით, თუმცა წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საწვავზე გახარჯული თანხა შემცირდა მხოლოდ 16%-ით (გვ. 41).

რეკომენდაციები

1. იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უფლებამოსილება განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობით. ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი დართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების დაცვით (გვ. 22);

2. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი დართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების სრული დაცვით (გვ. 23);

3. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უფლებამოსილება განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობით. ხოლო, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით (გვ. 24);

4. იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების რეგულირება და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებზე საინვენტარო ბარათების გახსნა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ინსტრუქციის სრული დაცვით (გვ. 25);

5. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად (გვ. 27);

6. ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა წახალისება მოხდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით (გვ. 27);

7. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები უნდა შეიცავდეს ყველა სავალდებულო ინფორმაციას, ხოლო დადებული ხელშეკრულებების და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელდეს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილ ვადებში (გვ.28);

8. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შესყიდვების გეგმა უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ვადებში, ხოლო შესყიდვის შესრულება/შეუსრულებლობის და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა განხორციელდეს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის მიხედვით (გვ. 28);

9. ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას (გვ. 29);

10. იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით (გვ. 30);

11. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით (გვ. 31);

12. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით (გვ. 32);

13. ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში უნდა შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან (გვ. 33);

14. იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში მნიშვნელოვანია შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან (გვ. 34);

15. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში მნიშვნელოვანია შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან. ასევე, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა (გვ. 35);

16. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში უნდა შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან. ასევე, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურეობრივი ავტომატების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა (გვ. 37);

17. იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. მნიშვნელოვანია განხორციელდეს იმ ავტომობილების იდენტიფიკაცია, რომლებსაც გაეწიათ სარემონტო მომსახურება, ხოლო ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება მოხდეს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით (გვ. 38);

18. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (გვ. 39);

19. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები (გვ. 40);

20. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები და სათანადოდ იქნას არგუმენტირებული გაწეული ხარჯების აუცილებლობა (გვ. 42).

აუდიტის მიზანი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის, ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა წარმომადგენლობის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- 2015 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით წარმომადგენლობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: დაფინანსება (ასიგნებები); ძირითადი აქტივები; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, სატრანსპორტო და წარმომადგენლობითი ხარჯები; სოციალური დახმარებები; განხორციელებული შესყიდვები;

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილება - „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N3 დადგენილება - „იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N4 დადგენილება - „სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N22 დადგენილება - „ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N2 დადგენილება - „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმომადგენლობის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

- წარმომადგენლობის უფლებამოსილება ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან - ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირებზე;
- უფლებამოსილების ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან - ზემო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულებებთან, მათ შორის აჟარის მუნიციპალიტეტთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობას;
- შეიმუშავებს და აფხაზეთის მთავრობას განსახილველად წარუდგენს მოსაზრებებს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით სტრატეგიული კურსისა და ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. ამ მიზნით შეიმუშავებს შესაბამის ინიციატივებსა და წინადადებებს. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან - ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობას;
- შეიმუშავებს და წარმართავს წარმომადგენლობის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს;
- შეადგენს და ასრულებს წარმომადგენლობის ბიუჯეტს, ასევე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მიზნობრივ პროგრამებს, აღრიცხავს, ფლობს, სარგებლობს და განკარგავს წარმომადგენლობის საკუთრებას;

- კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზემო აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობის აქტებით მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს;
- უზრუნველყოფს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტას;
- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობის უფლებამოსილება ვრცელდება იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირებზე.

წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- უფლებამოსილების ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დადგენა და შესაბამისი ცნობების გაცემა;
- უფლებამოსილების ფარგლებში წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- წარმომადგენლობის ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;
- საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა;
- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობის უფლებამოსილება ვრცელდება ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირებზე.

წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- უფლებამოსილების ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დადგენა და შესაბამისი ცნობების გაცემა;
- უფლებამოსილების ფარგლებში წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;
- წარმომადგენლობის ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;
- საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა;
- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

წარმომადგენლობის უფლებამოსილება ვრცელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით

გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე.

წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები:

- უფლებამოსილების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება და შესაბამისი ცნობების გაცემა;
- უფლებამოსილების ფარგლებში წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- წარმომადგენლობის ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობის საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;
- საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა;
- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

1. საბიუჯეტო სახსრები (სოციალური დახმარებები)

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის (შემდეგში კომისია) მეშვეობით ახორციელებდა დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი 14 02), ერთჯერადი დახმარებების გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე 100-200 ლარის ფარგლებში.

მიღებული ინფორმაციით, შემოსული განცხადებების განხილვა (განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარების გარდა, რისი შესაბამისი მდგომარეობის განმსაზღვრელი არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს), ხორციელდებოდა რიგითობის დაცვით. ვალდებულების მიუხედავად წარმომადგენლობას კომისიის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი წინასწარ არ განუსაზღვრავს.¹

დადგენილი წესის² მოთხოვნების მიუხედავად (კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა მხოლოდ 6 სხდომა და შესაბამისად გაფორმდა 6 სხდომის ოქმი.

პირველი სხდომის ჩატარებამდე (10.03.2015) წარმომადგენლობას დახმარების მოთხოვნით მიმართა 429 განმცხადებელმა, თუმცა სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ 151 განცხადება,³ დაკმაყოფილდა 136, ხოლო 15 განცხადების განხილვა გადაიდო ბენეფიციარების მიერ „ლიბერტი ბანკის“ პირადი ანგარიშის ნომრის წარმოუდგენლობის გამო.

წლის განმავლობაში ერთჯერადი დახმარების მიღების მიზნით შემოსული განცხადებებიდან 4 არ დაკმაყოფილდა ბენეფიციარების გარდაცვალების გამო. დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანის მიერ თებერვლის თვეში შემოტანილი განცხადება თანდართული

¹ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

³ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტი;

დოკუმენტაციით კომისიის მიერ განხილულ იქნა მხოლოდ აპრილის თვეში - კომისიის მე-2 სხდომაზე. ანალოგიურად, დანარჩენი 3 ბენეფიციარის განცხადებები კომისიის მიერ განხილულ იქნა ივლისის თვეში მე-3 სხდომაზე, მაშინ როდესაც მათ მიერ განცხადებები დახმარების მიღების თხოვნით შემოსულია თებერვლის, აპრილისა და ივნისის თვეებში.⁴ ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით, ბენეფიციარების განცხადებებს რიგითობით არ მოუწიათ განხილვა, ხოლო განხილვისას კომისია ფლობდა ინფორმაციას მათი გარდაცვალების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონდებლობით⁵ წარმომადგენლობას განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა შეემოწმებინა განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის სისრულე და რაიმე დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში განესაზღვრა ვადა, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელს უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც წარმომადგენლობის მიერ არ განხორციელებულა.

გარდა აღნიშნულისა, დაკმაყოფილებულ 26 ბენეფიციარს არ ჰქონდა წარმოდგენილი განმცხადებლის ანგარიშის დეტალები (პირადი ანგარიშის ნომერი) სს „ლიბერთი ბანკიდან“.⁶ წარმომადგენლობის ინფორმაციით აღნიშნული ბენეფიციარების დოკუმენტაციაში ანგარიშის ნომრები მიწერილი იყო ხელით წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ბენეფიციართა კარნახით ტელეფონის მეშვეობით.

1. რეკომენდაცია:

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უფლებამოსილება განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობით. ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი დართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების დაცვით.

⁴ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე- 100 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტი;

⁵ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები;

⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-3 მუხლი; საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის (შემდეგში კომისია) მეშვეობით ახორციელებდა დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი 15 02), ერთჯერადი დახმარებების გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე 100-200 ლარის ფარგლებში.

დადგინდა, რომ კომისიის მიერ განხილულ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება არ ხდებოდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.⁷

გარდა აღნიშნულისა, დაკმაყოფილდა და თანხა ჩაერიცხა 19 ბენეფიციარს, რომელთაც არ ჰქონდათ სრულად წარმოდგენილი დადგენილი წესით მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტაცია (პირადობის დამადასტურებელი მოწმობა - 2 შემთხვევაში; დევნილის მოწმობა - 2 შემთხვევაში; გარდაცვალების მოწმობა - 2 შემთხვევაში; კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, სხვა მძიმე სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - 13 შემთხვევაში).⁸

2. რეკომენდაცია:

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი დართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების სრული დაცვით.

⁷ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-3 მუხლი; საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 83-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები;

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის (შემდეგში კომისია) მეშვეობით ახორციელებდა დევნილთა სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი 13 02), ერთჯერადი დახმარებების გაცემას იძულებით გადაადგილებულ პირებზე 100-200 ლარის ფარგლებში.

დადგენილი წესის⁹ მოთხოვნების მიუხედავად (კომისიას თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩაეტარებინა სხდომა), 2015 წლის განმავლობაში ივნისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში სხდომა არ ჩატარებულა.

კომისიის მიერ განხილულ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირება, უარის შემთხვევაში ხდებოდა წერილობითი შეტყობინებით ფოსტის მეშვეობით, ხოლო სხვა შემთხვევაში (დადებითი პასუხი, განსახილველად შემდეგ სხდომაზე გადადებული) ბენეფიციარებს ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.¹⁰

3. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ უფლებამოსილება განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილი პერიოდულობით. ხოლო, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა დაინტერესებული მხარისთვის უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

2. ძირითადი აქტივები

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

¹⁰ საქართველოს კანონის - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი;

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის განმავლობაში წარმომადგენლობა სარგებლობდა ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქ. N25 - ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში არსებული 8,2 კვ/მ ფართით, ღირებულებით 3,000.00 ლარი და ქ. ბათუმში გორგასლის N 141-ში მდებარე სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში არსებული 9,31 კვ/მ ფართით, ღირებულებით 7,215.00 ლარი. აღნიშნული ფართები, როგორც წინა აუდიტისას, კვლავ არ იყო გატარებული საჯარო რეესტრში¹¹ და აყვანილი ბალანსზე¹².

არაფინანსური აქტივების აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე, არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, როგორც წინა აუდიტისას, 87 ერთეულ მცირეფასიან გრძელვადიან აქტივზე, ისევ არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები,¹³ ხოლო ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობად გამოვლენილი 12 ერთეული აქტივი კვლავ არ იყო შეფასებული და აყვანილი ბალანსზე.¹⁴

სას-ის მიერ წინა აუდიტით გამოვლენილ ამ გარემოებებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობამ წერილით¹⁵ აცნობა სას-ს, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოსწორდებოდა 2015 წლის ბოლომდე. თუმცა, ზემოხსენებული საკითხების (ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა; საინვენტარო ბარათების გახსნა) სამართლებრივ ჩარჩოში მოსაქცევად არანაირი ქმედითი ღონისძიება არ განხორციელებულა.

4. რეკომენდაცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“

¹¹ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი;

¹² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი, მე-7 პუნქტები; „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი;

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;

¹⁵ 2015 წლის 9 ნოემბრის N 01/57 წერილი.

საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების რეგულირება და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებზე საინვენტარო ბარათების გახსნა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და ინსტრუქციის სრული დაცვით.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობამ 2015 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირი N89/24 მდებარე შენობის მე-13 სართულზე არსებული ფართიდან (527.67 კვ.მ) 45კვ.მ. სარგებლობის უფლებით გადასცა სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს“. თუმცა, აღნიშნული ფართის გადაცემის თანხობრივად აღრიცხვა საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) არ მომხდარა¹⁶ და საჯარო რეესტრში ის კვლავ რეგისტრირებულია, როგორც წარმომადგენლობის საკუთრება;

წარმომადგენლობას 2015 წლის 12 ნოემბერს სარგებლობის უფლებით გადმოეცა ქ. რუსთავეში ვახუშტის ქ. N8 - ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 24.10 კვ.მ ფართი, რომელიც წარმომადგენლობის საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში) არ აღრიცხულა;¹⁷

გარდა აღნიშნულისა, განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არარსებობის მიუხედავად წარმომადგენლობა კვლავ სარგებლობდა ქ. თბილისში კ. ხეთაგუროვის N2-ში არსებული (170კვ.მ) ფართით;¹⁸

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი და მე-14 პუნქტები; „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები; „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი;

¹⁸ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტები.

5. რეკომენდაცია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ბალანსზე აყვანა განხორციელდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შრომის ანაზღაურება

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

დასაქმებული პირის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის არარსებობის გამო პრემიების გაცემა ხდებოდა დასაბუთების საფუძველზე. თუმცა, პრემიების გაცემის შესახებ გამოცემული ბრძანებების დასაბუთებებში გამოიყენებოდა ერთი და იგივე შაბლონური ტექსტები ("ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის", ან "დაკისრებული უფლებამოსილების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისთვის, კეთილსინდისიერი სამსახურისთვის"), ხოლო კონკრეტულად თუ რა სამუშაოს შესრულებისთვის იყო გაცემული პრემია ასახული არ ყოფილა. გამოცემული ბრძანების დასაბუთებებში არცერთ შემთხვევაში არ იყო მითითებული გასაცემი პრემიის პროცენტული მიმართება პირის თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში და ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიის შესახებ¹⁹.

6. რეკომენდაცია

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომელთა წახალისება მოხდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4. სახელმწიფო შესყიდვები

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

¹⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი;

წარმომადგენლობის მიერ 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული 114 სახელმწიფო შესყიდვიდან, 44 შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა²⁰. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით იყო ატვირთული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 9 შემთხვევაში და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 11 შემთხვევაში²¹.

7. რეკომენდაცია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები უნდა შეიცავდეს ყველა სავალდებულო ინფორმაციას, ხოლო დადებული ხელშეკრულებების და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელდეს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილ ვადებში.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის შესყიდვების გეგმა ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო დაგვიანებით²², ხოლო განხორციელებული 59 სახელმწიფო შესყიდვის შესრულება/შეუსრულებლობის და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არცერთ შემთხვევაში არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში.²³

8. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შესყიდვების გეგმა უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ვადებში, ხოლო

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის, მე-6 პუნქტის, დ) ქვეპუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების - „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის, ვ) ქვეპუნქტი;

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება - „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

²² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი;

²³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება - „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

შესყიდვის შესრულება/შეუსრულებლობის და ფაქტობრივი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა განხორციელდეს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესის მიხედვით.

5. შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 27,066.66 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად²⁴, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, წარმომადგენლობაში 5 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (10-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 27,066.66 ლარი (თვეში საშუალოდ 300-600 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში მომუშავე 5 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2014 წელსაც (9-12 თვით) და ხუთივე ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს);

შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების მიუხედავად, წარმომადგენლობას ზემდგომი დაწესებულებებისადმი დამატებით შტატების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით არ მიუმართავს.

9. რეკომენდაცია

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

²⁴ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 101,841.80 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად²⁵, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, წარმომადგენლობაში 6 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (6-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 23,550.00 ლარი (თვეში საშუალოდ 250-500 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში (6-12 თვით) მომუშავე 4 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2014 წელსაც (10-12 თვით) და ოთხივე პირი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების მიუხედავად, წარმომადგენლობას ზემდგომი დაწესებულებებისადმი დამატებით შტატების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით არ მიუმართავს.

10. რეკომენდაცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

²⁵ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წარმომადგენლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 51,300.00 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად²⁶, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, წარმომადგენლობაში 9 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (7-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 48,800.00 ლარი (თვეში საშუალოდ 500-600 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში (7-12 თვით) მომუშავე 5 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2014 წელსაც (11-12 თვით) და ხუთივე პირი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების, ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების და ძირითადად (დამლაგებლის გარდა) საშტატო თანამდებობაზე დანიშნულ მოხელეთა ანალოგიური მოვალეობების შესრულების მიუხედავად, წარმომადგენლობას ზემდგომი დაწესებულებებისადმი დამატებით შტატების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით არ მიუმართავს.

11. რეკომენდაცია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 42,244.92 ლარი.

²⁶ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად²⁷, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, დეპარტამენტში 7 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (6-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 37,744.92 ლარი (თვეში საშუალოდ 500 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში (12 თვით) მომუშავე 3 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2014 წელსაც (12 თვით) და სამივე პირი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების მიუხედავად, წარმომადგენლობას ზემდგომი დაწესებულებებისადმი დამატებით შტატების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით არ მიუმართავს.

12. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

6. სატრანსპორტო ხარჯები

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

2015 წლის განმავლობაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე სარგებლობისათვის განპიროვნებულ ავტომობილზე NISSAN X-TERRA VOO-898 გაიხარჯა 6,061.01 ლარის ღირებულების 3,634.41 ლიტრი საწვავი.

დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით²⁸ მოსამსახურე მოვალეა შვებულებაში გასვლამდე, სამსახურთან დაკავშირებით მისთვის მინდობილი ქონების დასაბრუნებლად მიმართოს ამისათვის დანიშნულ პირს, რომელიც ვალდებულია ჩაიბაროს ქონება, თუმცა

²⁷ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი;

²⁸ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი;

წარმომადგენლობის ხელმძღვანელის შვებულებაში გასვლამდე (10 აგვისტო - 1 სექტემბერი) განპიროვნებული ავტომობილის გადაცემა უფლებამოსილ პირზე არ მომხდარა, ხოლო ავტომობილზე, რომელიც წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოფიციალურად შვებულებაში ყოფნის პერიოდში იმყოფებოდა მის სარგებლობაში, გაიხარჯა 558.56 ლარის ღირებულების 307.12 ლიტრი საწვავი;

აუდიტის პერიოდში ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 59,39 კმ.²⁹ მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო სამსახურეობრივი აუცილებლობით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოტრასპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)³⁰, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა;

13. რეკომენდაცია

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში უნდა შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის განმავლობაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელის სარგებლობისათვის განპიროვნებულ ავტომობილზე Mitsubishi-Outlander-ზე გაიხარჯა 6,424.94 ლარის ღირებულების 3,838.19 ლიტრი საწვავი.

წარმომადგენლობა ასევე სარგებლობდა სამორიგეო ავტომობილით - ვაზ 21213, რომელზეც გაიხარჯა 3,292.12 ლარის ღირებულების 1,990.05 ლიტრი საწვავი. 2015 წლის განმავლობაში

²⁹ მაჩვენებელი მიღებულია 100 კმ-ზე 17 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

³⁰ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

სამსახურებრივი მივლინების გარეშე ზუგდიდში 3 შემთხვევაში დაფიქსირდა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები.

აუდიტის პერიოდში განპიროვნებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა³¹ შეადგინა 87,07 კმ., ხოლო სამორიგეო ავტომობილის მიერ საშუალო დღიურმა გარბენმა³² - 50.88 კმ. მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპიროვნებული იყო წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე, ავტომობილების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წამოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)³³, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა.

14. რეკომენდაცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში მნიშვნელოვანია შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის განმავლობაში წარმომადგენლობის ხელმძღვანელის სარგებლობისათვის განპიროვნებულ ავტომობილზე MERCEDES-BENZ E320-ზე გაიხარჯა 5,912.37 ლარის ღირებულების 3,795.88 ლიტრი საწვავი. ამასთან იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივ მივლინებებს 8 შემთხვევაში დაფიქსირდა ქვეყნის სხვადასხვა

³¹ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 12 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადანაგარიშებით;

³² მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 10 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადანაგარიშებით;

³³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

რეგიონში ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები (ზესტაფონში 4-ჯერ, ჩაქვში 2-ჯერ, ბათუმში 1-ჯერ, ქუთაისში 1-ჯერ);

წარმომადგენლობა ასევე სარგებლობდა სამორიგეო ავტომობილით - SUBARU FORESTER, რომელზეც გაიხარჯა 4.555.42 ლარის ღირებულების 2,749.36 ლიტრი საწვავი. 2015 წლის განმავლობაში სამსახურებრივი მივლინების გარეშე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში 17 შემთხვევაში დაფიქსირდა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები. სამორიგეო ავტომობილში 25 სექტემბრიდან წლის ბოლომდე, 22 შემთხვევაში (მათ შორის 8 - ჯერ ქალაქ გარეთ, ხაშურში 7 - ჯერ, გურჯაანში 1- ჯერ) დაფიქსირდა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები, თუმცა სამორიგეო ავტომობილით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით წარმოებულ ჟურნალში არ იყო ასახული ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილების შესახებ მონაცემები;³⁴

აუდიტის პერიოდში განპიროვნებული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 87,87 კმ.³⁵, ხოლო სამორიგეო ავტომობილის მიერ საშუალო დღიურმა გარბენმა - 54,55 კმ.³⁶ მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარე, ავტომობილების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ინტენსიური გადაადგილებით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)³⁷, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა.

15. რეკომენდაცია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში მნიშვნელოვანია შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა

³⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის დ) პუნქტი და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

³⁵ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 12 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

³⁶ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 14 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

³⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

არამართლზომიერი გამოყენებისაგან. ასევე, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობას 2015 წელს დადგენილი წესის შეუსაბამოდ³⁸ ბალანსზე ერიცხებოდა 4 ავტომობილი. კერძოდ:

განპიროვნებული ავტომობილი TOYOTA-RAV4 სახ. ნომ. – OB 033 BO, რომელზეც გაიხარჯა 11,298.04 ლარის ღირებულების 6,255.32 ლიტრი საწვავი. ამასთან იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივ მივლინებებს 27 შემთხვევაში დაფიქსირდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები (თბილისში 19-ჯერ, ზესტაფონში 7-ჯერ, ხაშურში 1-ჯერ);

სამორიგეო ავტომობილი OPEL-ASTRA სახ. ნომ. – MIV 255 რომელზეც გაიხარჯა 2,862.62 ლარის ღირებულების 1,519.04 ლიტრი საწვავი. 2015 წლის განმავლობაში სამსახურებრივი მივლინების გარეშე ქ. თბილისში დაფიქსირდა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტი. წარმომადგენლობა ასევე სარგებლობდა სამორიგეო ავტომობილით OPEL-VEQTRA სახ. ნომ. – MIV 995 რომელზეც გაიხარჯა 3,605.44 ლარის ღირებულების 2,045.71 ლიტრი საწვავი. საყურადღებოა, რომ დადგენილი წესის³⁹ მიუხედავად არც ერთ სამორიგეო ავტომობილზე სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით არ იყო ნაწარმოები ჟურნალი.

აუდიტის პერიოდში განპიროვნებული ავტომობილის TOYOTA-RAV4 საშუალო დღიურმა გარბენმა შეადგინა 133,8კმ,⁴⁰ სამორიგეო ავტომანქანებზე შესაბამისად OPEL-ASTRA - 47.7 კმ,⁴¹ OPEL-VEQTRA - 45.2 კმ,⁴² მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ წამოდგენილი

³⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი;

³⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

⁴⁰ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 13 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

⁴¹ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 10 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

⁴² მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 10 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანგარიშებით;

ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო სამსახურეობრივი აუცილებლობით, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვის შესაბამისად ავტოტრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)⁴³, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა;

16. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში უნდა შემუშავდეს შიდა კონტროლის სისტემა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რათა მოხდეს რესურსების ეკონომიურად გამოყენება და აქტივების დაცვა არამართლზომიერი გამოყენებისაგან. ასევე, აუცილებელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის მოთხოვნათა სრული დაცვა.

7. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმა N1, N2, N3 და ფორმა N5.⁴⁴ კერძოდ:

ავტომანქანების მიმდინარე რემონტზე (სამუხრუჭე ხუნდების, ამორტიზატორების, სიჩქარეთა კოლოფის და სხვა სავალი ნაწილების შეძენა-შეცვლა) გაწეული ხარჯები 3,596.00 ლარის ოდენობით, რომლითაც ადგილი არ ჰქონია აქტივების არსებით გაუმჯობესებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაემატა მანქანების საბალანსო ღირებულებებს, რის გამოც წლის ბოლოს ვაზ-21213-ის ღირებულება არამართებულად გაიზარდა 1,166.00 ლარით,

⁴³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

⁴⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

ხოლო Mitsubishi-Outlander-ის ღირებულება - 2,430.00 ლარით. შესასბამისად წლის ბოლოს ორივე ავტომობილზე დარიცხული ცვეთის თანხა გაიზარდა 402,75 ლარით;⁴⁵

ბალანსის დანართ ფორმა N2-ში არ იყო დაფიქსირებული 1.3 „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 6,017.67 ლარის ოდენობით, შესაბამისად არ ფიქსირდება „გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის“;

2015 წელს წარმომადგენლობის სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე Mitsubishi-Outlander-სა და ვაზ-21213 -ზე (ნივა) გაწეულმა სარემონტო მოსახურების ხარჯმა შეადგინა ჯამში 4,220.00 ლარი. 2,411.00 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ზედნადებები, საგადახდო მოთხოვნა) არ იყო დაფიქსირებული იმ ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი, რომელსაც გაეწია სარემონტო მომსახურება. აგრეთვე, 2,411.00 ლარიდან, 711.00 ლარის ღირებულების ჩატარებულ სამუშაოებზე საერთოდ არ გაფორმებულა მიღება-ჩაბარების აქტები.⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტიურად ვერ დადასტურდა 2,411.00 ლარის ღირებულების ავტომანქანების შენახვაზე გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა და სისრულე.

17.რეკომენდაცია

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. მნიშვნელოვანია განხორციელდეს იმ ავტომობილების იდენტიფიკაცია, რომლებსაც გაეწიათ სარემონტო მომსახურება, ხოლო ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება მოხდეს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით.

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტი;

⁴⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტები;

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

წარმომადგენლობას არასრულად და არასწორად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმა N2, N3 და ფორმა N5.⁴⁷ კერძოდ:

ბალანსის დანართ ფორმა N2-ში პრემიის მუხლში საანგარიშგებო პერიოდის დაზუსტებული გეგმით, ნაცვლად 51,254.07 ლარისა დაფიქსირდა 37,520.00 ლარი, გადახრა ფაქტიურ ხარჯსა და გადახდას შორის არ დაფიქსირებულა, ხოლო „სხვა ხარჯების“ ჯამური მუხლი თანხით - 5,510.00 ლარი არ იყო ჩაშლილი;

ბალანსის დანართ ფორმა N3-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარება ნაჩვენები იყო, მხოლოდ ფიზიკური ცვეთის (7310) მუხლში თანხით 6,533.16 ლარი. წარმომადგენლობაზე გადმოცემული ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებით 1,138.45 ლარი გრანტების (6300) ნაცვლად⁴⁸ წარმოდგენილი იყო, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადები (8000);

ბალანსის დანართ ფორმა N5-ში ძირითადი საშუალებების მიღება გრანტების ნაცვლად გატარებული იყო „სხვა შემოსულობებით“, ⁴⁹ ხოლო წლის განმავლობაში 4,656.60 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების მიღება-გასვლა საერთოდ არ აღრიცხულა;⁵⁰

18. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁴⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი;

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი;

⁵⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი;

8. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების (შემდეგში პრონციპები) შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 2%-ით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 71%-ით.⁵¹ გარდა აღნიშნულისა, პრინციპების შესაბამისად მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით, თუმცა წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საწვავზე გახარჯული თანხა პირიქით გაიზარდა 9%-ით.⁵² კერძოდ:

N	ხარჯები	2014წლის საკასო ხარჯი	2015წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
	1	2	3	4	5
1	შრომის ანაზღაურება	51,4056.00	52,4593.35	10,537.35	2%
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	30,000.00	51,300.00	21,300.00	71%
3	საწვავის ხარჯები	9,443.13	10,280.66	837.53	9%

19. რეკომენდაცია

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები.

⁵¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის პირველი და მე-3 პუნქტები;

⁵² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის მე-6 პუნქტი;

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების (შემდეგში პრინციპები) შესაბამისად „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდა 30 %-ით.⁵³ გარდა აღნიშნულისა, პრინციპების შესაბამისად მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით, თუმცა წარმომადგენლობის მიერ 2015 წელს საწვავზე გახარჯული თანხა შემცირდა მხოლოდ 16%-ით.⁵⁴ კერძოდ:

N	ხარჯები	2014წლის საკასო ხარჯი	2015წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
	1	2	3	4	5
1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	32,500.00	42,244.92	9,744.92	30%
2	საწვავის ხარჯები	21,036.73	17,769.11	-3,267.62	-16%

გარდა ზემოაღნიშნულისა საყურადღებოა, რომ წარმომადგენლობითმა ხარჯმა წარმომადგენლობაში ჯამში შეადგინა 4,531.60 ლარი. წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, მენიუ, ზოგ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები) დადგინდა, რომ თანხები გადარიცხულია რესტორნებში, სტუმრების მიღებისა და მომსახურების ოფიციალურ სადღილებზე. მიუხედავად არსებული ხარჯვის

⁵³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის მე-3 პუნქტი;

⁵⁴ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის მე-6 პუნქტი;

დამადასტურებელი დოკუმენტებისა, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებები თუ რა განსაკუთრებული (გადაუდებელი) აუცილებლობით იყო გამოწვეული აღნიშნული ხარჯების გაწევა.⁵⁵

20. რეკომენდაცია:

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულების ძირითადი მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები და სათანადოდ იქნას არგუმენტირებული გაწეული ხარჯების აუცილებლობა.


აუდიტორთა ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი



ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

27 ოქტომბერი 2016 წელი

⁵⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის მე-7 პუნქტი;